GREEN CLIMATE FUND

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და მონაცემების ცენტრი

Schweizerische Eidgenossenschaft
Confédération suisse
Confederazione Svizzera
Confederaziun svizra

Swiss Agency for Development and Cooperation SDC

შვედეთი
Sverige

UNDP

კლიმატის ელჩები „შტორმი"

ახალგაზრდა „კლიმატის ელჩების“ ჯგუფი „შტორმი” (Storm – შტორმი) მწვანე ბანაკში შეიქმნა, რომელიც გვაერთიანებს საქართველოს ახალგაზრდებს ქალაქ თბილისსა და რუსთავიდან. ჩვენი პროექტის მიზანია კლიმატის ცვლილებების თანმდევი პროცესების შესახებ ცნობიერების ამაღლება თბილისსა და რუსთავში მცხოვრებ ახალგაზრდებში, რომლებიც სამომავლო პერსპექტივაში გაერთიანდებიან ერთი ორგანიზაციის ქვეშ.

ჩვენი სამიზნე ჯგუფია თბილისსა და რუსთავში მცხოვრები 13-დან 18 წლამდე აქტიური ახალგაზრდები.

აქტივობები, რომლებიც უკვე განვახორციელეთ: შევქმენით სოციალური ქსელები, ჩავატარეთ საგანმანათლებლო ტრენინგები, ჩამოვაყალიბეთ ეკო-კლუბები.

აქტივობები, რომლებიც წლის განმავლობაში უნდა განვახორციელოთ მოიცავს:

მოხალისეების შესარჩევად შევიმუშავებთ ღია კონკურსის კონცეფციას, გამოვაცხადებთ შესარჩევ კონკურსს (ღია კონკურსის შედეგად შევარჩევთ რუსთავისა და თბილისის 13-18 წლის ახალგაზრდებს, რომლებიც არიან ეკო-კლუბების წევრები ან სურთ სკოლაში ეკო-კლუბის დაარსება), ჩავატარებთ ტრენინგებს მოხალისეებისთვის, რომელთა საშუალებითაც ისინი თავიანთ სკოლებში განახორციელებენ სხვადასხვა აქტივობებს, დავგეგმავთ დასუფთავებისა და გამწვანების აქციებს სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად, შევქმნით ეკო-კომიქსებს და ონლაინ პლატფორმებზე განვათავსებთ, ჩამოვაყალიბებთ სამაგიდო თამაშის კონცეფციას კლიმატმეგობრული ქცევის წესებზე.

შედეგები, რომლებსაც მივაღწევთ:

დავაინტერესებთ უფრო მეტ ახალგაზრდას, ხელს შევუწყობთ ცნობიერების ამაღლებას, გავააქტიურებთ ეკო-კლუბებს, გავაერთიანებთ საზოგადოებას კლიმატის ცვლილებით გამოწვეული პრობლემების წინააღმდეგ.